



სახელმწიფო – პოლიტიკური

თანამდებობის პირის

გზამკვლევი

2021

მრცელი ვერსია

აღნიშნული გზამკვლევი მომზადდა ანა ფირცხალაშვილის მიერ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) პროექტის ფარგლებში.

გზამკვლევში გამოთქმული შეხედულებები არ გამოხატავს USAID-ის, GGI-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

სარჩევი

1. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი და მისი ადგილი სახელმწიფოს

მმართველობის პროცესში

	5
1.1. რას ნიშნავს სახელმწიფო პოლიტიკა?	5
1.2. სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელება ხელისუფლების შტოების მიერ	6
1.3. სახელმწიფო მოსამსახურე - სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი	7
1.4. სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობებზე განწესება (არჩევა/დანიშვნა)	9
1.4.1. საქართველოს პრეზიდენტი	10
1.4.2. საქართველოს პარლამენტის წევრი	10
1.4.3. საქართველოს პრემიერ-მინისტრი	11
1.4.4. მთავრობის წევრი/მინისტრი/სახელმწიფო მინისტრი	12
1.4.5. მინისტრის მოადგილე	13
1.4.6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრები	13
1.4.7. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები	14
1.4.8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრები და მათი მოადგილეები	14
1.4.9. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობების წევრები და მათი მოადგილეები	15
1.5. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთა მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების სამართლებრივი ფორმები	16
1.5.1. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტები	17
• საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები	17
• საქართველოს პარლამენტისა და პარლამენტის წევრის სამართლებრივი აქტები	18
• საქართველოს მთავრობის, პრემიერ-მინისტრის და მინისტრების სამართლებრივი აქტები	18
• აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს სამართლებრივი აქტები	19
• აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობის სამართლებრივი აქტები	19
1.5.2. მექანიზმები, რომლებიც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებს ეხმარება უფლებამოსილებათა განხორციელებაში	20

2. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი და მისი საქმიანობის ფარგლები სახელმწიფო პოლიტიკის დადგენის/გატარების დროს

3. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, როგორც საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირი და მისი უფლებამოსილებანი

	26
3.1. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების ფარგლები სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირზე	26
3.2. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის შრომის ანაზღაურება	28
3.3. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, როგორც მენეჯერი და ლიდერი	28

4. ქვეყნის ანტიკორუფციული პოლიტიკა

	30
4.1. მიუკერძოებლობის პრინციპის განსაკუთრებულად მოქმედება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთა მიმართ	30
4.2. ანტიკორუფციული კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებები	31
4.3. დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება	32
4.4. რა რეგულაციები ეხებათ თანამდებობის პირების ოჯახის წევრებს და რატომ	33
4.5. ყველაზე ხშირად გავრცელებული ინტერესთა კონფლიქტები და მათგან თავის არიდების მექანიზმები, აცილება და თვითაცილება	34
4.6. შეთავსებადი საქმიანობის უფლება	35
4.7. ადმინისტრაციული გადაცდომა/ჯარიმა	36
4.8. ეთიკის ნორმების მნიშვნელობა	37
4.9. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა	38
4.10. იურიდიული და პოლიტიკური პასუხისმგებლობა	38
4.11. იმპიჩმენტი	39
4.12. იმუნიტეტი და ინდემნიტეტი	40

5. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მხარდაჭერა საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ

41

შესავალი

საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე საჯარო სამსახურის მოდერნიზების მიზანი საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში წარმატებით ხორციელდება. 2012 წლიდან დღემდე საჯარო მმართველობის რეფორმის მიზნით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები თანხვედრაშია თანამედროვე დასავლური მმართველობის პრინციპების შინაარსთან. საჯარო სექტორში დასაქმების სამართლებრივი ურთიერთობების ახლებურად მოწესრიგებამ, დღის წესრიგში დააყენა საჯარო-სამართლებრივი ფორმით დასაქმებულ პირთა სამართლებრივი სტატუსისა და მათი უფლებრივი მდგომარეობის მკაფიოდ განსაზღვრის აუცილებლობა. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებსა და პროფესიულ საჯარო მოხელეებს შორის სამართლებრივი სტატუსის დაკონკრეტებამ აუცილებელი გახადა მათ მიმართ მოქმედ კანონმდებლობაში არსებული რეგულაციების ნათლად წარმოჩენის საჭიროება.

სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროსა და USAID-ის პროექტ „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის“ (GGI) თანამშრომლობით მომზადდა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების გზამკვლევი, რომელშიც თავმოყრილია ყველა იმ სამართლებრივი რეგულაციის განმარტება, რომლებიც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების სტატუსს აწესრიგებს და მათ უფლებრივ მდგომარეობას ადგენს. გზამკვლევის მიზანია, გაუმარტივოს სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირთა სტატუსსა და უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების შინაარსის სწორად გაგება ამ თემით დაინტერესებულ პირებს და ხელი შეუწყოს სწრაფი, მოქნილი და მკაფიო ინფორმაციის მიღებას აღნიშნული საჯარო-სამართლებრივი სტატუსის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ გზამკვლევი ორი ნაწილისაგან შედგება. ვრცელი ვერსია, მცირე ილუსტრირებული ვერსიისაგან განხვავებით, დაინტერესებულ პირებს აწვდის მეტ ინფორმაციას. მაგალითად, იმ სამართლებრივი აქტების შესახებ, რომელთა გამოცემის უფლებამოსილებაც აქვთ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებს ან/და ორგანოებს, ასევე შინაარსობრივად, ერთმანეთისგან გამიჯნულია სახელისუფლებო აქტების და ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების სამართლებრივი ბუნება. გზამკვლევის მცირე ვერსიაში მოკლედ და მკაფიოდ არის გადმოცემული ის საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანია სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისათვის. და იგი იმავდროულად მდიდარია გზამკვლევისათვის საგანგებოდ შექმნილი ილუსტრაციებით.

საჯარო სამსახურის ბიურო მადლობას უხდის პროფესორ ანა ფირცხალაშვილს გზამკვლევის მომზადებაში შეტანილი წვლილისთვის და USAID-ის პროექტ „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივას“ (GGI) მხარდაჭერისთვის.

1.1. რას ნიშნავს სახელმწიფო პოლიტიკა?

დემოკრატიული მმართველობის ფარგლებში, ხალხის მიერ პირდაპირი, ან არაპირდაპირი გზით არჩეული ხელისუფლება მართავს სახელმწიფოს. მმართველობა ხორციელდება არჩეული ხელისუფლების მიერ შერჩეული და ჩამოყალიბებული პოლიტიკის შინაარსის მიხედვით.

ზოგადად, **პოლიტიკა** სახელმწიფოს მართვის მეცნიერებაა. თანამედროვე გაგებით, პოლიტიკა მოიცავს ყველა იმ იდეოლოგიას, სტრატეგიას თუ აქტივობას, რომელიც სახელმწიფოს მართვასთან და ამ უკანასკნელის სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობასთან არის კავშირში. პოლიტიკა განიმარტება, როგორც განსაზღვრულ მოქმედებათა კურსი, შერჩეული მრავალ ალტერნატივას შორის, რომელიც მოცემულ პირობებში ყველაზე საუკეთესოდ განსაზღვრავს და წარმართავს მიმდინარე და სამომავლო გადაწყვეტილებებს. იგი მოიცავს ზოგადი მიზნებისა და სახელმწიფო ორგანოთა მიერ მისაღებ გადაწყვეტილებათა ერთობლიობას.

სახელმწიფოს მართვის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკის (Politics) და ამ პოლიტიკის განხორციელების პროგრამას (Policy) შორის მკვეთრი ზღვრის გავლებას. **პოლიტიკა** აღიქმება, როგორც სახელმწიფო ორგანოთა და ინსტიტუტთა მიერ გასატარებელ მოქმედებათა ძირითადი კურსი. ხოლო ამ პოლიტიკის კურსის **განსახორციელებელ პროგრამაში**, იგულისხმება სპეციფიკურ, კონკრეტულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც ამა თუ იმ პოლიტიკური კურსის რეალიზაციის მიზნითა და დასახულ მიზანთა მისაღწევად, აღსასრულებლად ხორციელდება.

შენიშვნა: ვინაიდან ქართულ ენაში Politics და Policy ერთი ტერმინით – „პოლიტიკა“ - აღინიშნება, მიზანშეწონილია, წინამდებარე გზამკვლევის მიზნებისთვის, მათ შორის შინაარსობრივი განსხვავების წარმოსაჩენად Policy, პოლიტიკის განხორციელების პროგრამა, ტერმინით - **დარგობრივი პოლიტიკა** - აღვნიშნოთ.

განსხვავება უნდა დავინახოთ ზოგად, **სახელმწიფო პოლიტიკასა** და **დარგობრივ პოლიტიკას** შორის. სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტი, ხოლო დარგობრივი პოლიტიკა ხორციელდება მთავრობის მიერ. შესაბამისად, სამინისტროები იქმნება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროებში სახელმწიფო მმართველობის განსახორციელებლად და სახელმწიფო პოლიტიკის კურსის უზრუნველსაყოფად. ამ უკანასკნელს შეიძლება ვუწოდოთ დასახული პოლიტიკური კურსის **სამთავრობო პროგრამა**, ან **დარგობრივი პროგრამა**.

გარდა ამისა, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს სახელმწიფო პოლიტიკა და ადგილობრივი პოლიტიკა. სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტი, ხოლო ადგილობრივ თვითმმართველობებში ადგილობრივი საკითხების გადასაწყვეტად, არჩეულია მუნიციპალიტეტის საკრებულო.



მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა კონსტიტუციით მასზე მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში თავად იღებს გადაწყვეტილებას. სუბსიდირობის პრინციპი მიიჩნევა კონსტიტუციის დაუნერგელ პრინციპად. ამ პრინციპის თანახმად, მაგალითად, ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებას ვერ შეასრულებს მინისტრი, ან პარლამენტის წევრი. ესე იგი ის საკითხები, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, არ შეიძლება მიითვისოს ზემდგომმა დონემ. შესაბამისად, სახელმწიფოს პოლიტიკურ მმართველობაში არსებობს მკაფიოდ განსაზღვრული და გამიჯნული უფლებამოსილებები.


1.2. სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელება ხელისუფლების შტოების მიერ

ხელისუფლების დანაწილება, როგორც წესი, ორგვარია: ჰორიზონტალური და ვერტიკალური. ჰორიზონტალური გულისხმობს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების არსებობას, ხოლო ვერტიკალური - ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ (ადგილობრივი თვითმმართველობის) ხელისუფლებას.

თავიანთი უფლებამოსილებების განხორციელებისას ხელისუფლების შტოებს არ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა შეიჭრან სხვა ხელისუფლების შტოს სფეროში. ამის უზრუნველსაყოფად ხელისუფლების დანაწილების მექანიზმში მოქმედებს ურთიერთშეკავებისა და განონასწორების სისტემა.

საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლი ადგენს პარლამენტის სტატუსს, რომელიც განსაზღვრავს **ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს**, ხოლო კონსტიტუციის 54-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, **რომელიც ახორციელებს** ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

შესაბამისად, პარლამენტი არის ხელისუფლების ის შტო, რომელიც ადგენს ქვეყნის ძირითად **პოლიტიკურს კურსს**, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება ახორციელებს მას კონკრეტულ სფეროში, კონკრეტულ ღონისძიებათა ერთობლიობის **სამთავრობო ან დარგობრივი პროგრამების** საშუალებით.



1.3. სახელმწიფო მოსამსახურე - სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი

ტერმინი – **სახელმწიფო სამსახური** გამოხატავს საქმიანობას საქართველოს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების იმ ორგანოებში (დანესებულებებში) არჩევით, ან დანიშვნით თანამდებობებზე, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, სახელმწიფო ზედამხედველობასა და კონტროლს, აგრეთვე სახელმწიფო თავდაცვას. აქ მოცემული ჩამონათვალი აერთიანებს ხელისუფლების სამივე შტოს, აგრეთვე ყველა იმ ფუნქციას, რომელიც კლასიკურად ხელისუფლების არცერთი შტოს პირდაპირ უფლებამოსილებას არ წარმოადგენს.



ნებისმიერ **საჯარო დაწესებულებას** გააჩნია პირობითად ორგვარი დაყოფა: 1 - მმართველი გუნდი (პოლიტიკური ნაწილი), რომელიც ძირითადად არის სახელმწიფო მოსამსახურე ან/და პოლიტიკური თანამდებობის პირი და 2 - აპარატი (ბიუროკრატიული აპარატი/ადმინისტრაციული ნაწილი), რომელსაც წარმოადგენენ საჯარო მოსამსახურეები.

ყველაფერი რაც ხორციელდება სახელმწიფო ორგანოების მიერ, არის **სახელმწიფო სამსახური. საჯარო სამსახური** კი არის სახელმწიფო სამსახურის ერთ-ერთი ნაწილი, რომელიც ახორციელებს საჯარო მმართველობას.

სახელმწიფო სამსახურად ითვლება ხელისუფლების სამივე შტოში საქმიანობა, გარდა იმ საქმიანობისა, რომელიც მიეკუთვნება საჯარო მმართველობის სფეროს და რომელსაც ახორციელებენ პროფესიული საჯარო მოხელეები. მაგალითად, საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებაში საქმიანობა, ითვლება **სახელმწიფო სამსახურად**, ხოლო ამავე ორგანოებში მმართველობითი ფუნქციების შესრულება, რაც გულისხმობს უწყვეტად და პროფესიულად უფლებამოსილებების განხორციელებას, **საჯარო სამსახურს** განეკუთვნება.

მნიშვნელოვანია, რომ **პარლამენტში** დეპუტატის საქმიანობა არის პოლიტიკური შინაარსის საქმიანობა. დეპუტატის სტატუსი პირს ენიჭება პოლიტიკური არჩევნების გზით, ამიტომაც დეპუტატები წარმოადგენენ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებს, ხოლო იმავე პარლამენტში აპარატის თანამშრომლები, რომლებიც მუდმივად, უწყვეტად, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვით, ახორციელებენ თავიანთ პროფესიულ საქმიანობას, ითვლებიან **პროფესიულ საჯარო მოხელეებად**.

აღმასრულებელ ხელისუფლებაში, მინისტრი და მისი მოადგილეები ითვლებიან სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებად, ხოლო სამინისტროს თანამშრომლები პროფესიულ საჯარო მოხელეებად, ვინაიდან ისინი მუდმივად, უწყვეტად, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვით, ახორციელებენ თავიანთ პროფესიულ საქმიანობას.

სასამართლო ხელისუფლებაში **მოსამართლე** არის სახელმწიფო მოსამსახურე, ვინაიდან იგი ახორციელებს მართლმსაჯულებას, ხოლო სასამართლოს აპარატის თანამშრომლები, რომლებიც მართლმსაჯულების ფუნქციის უწყვეტად ადმინისტრირების მიზნით ასრულებენ შესაბამის საქმიანობას პროფესიულად, უწყვეტად, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვის საფუძველზე, წარმოადგენენ პროფესიულ საჯარო მოხელეებს.



1.4. სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობებზე განწესება (არჩევა/დანიშვნა)

საჯარო მოსამსახურისგან განსხვავებით, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების განწესება თანამდებობაზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით არ არის მოწესრიგებული. თუ საჯარო მოსამსახურე ინიშნება შესაბამისი, წინასწარ მკაცრად განსაზღვრული კომპეტენციის მიხედვით, **პოლიტიკური თანამდებობის პირები** ირჩევიან შესაბამისი პოლიტიკის განსაზღვრის, ან გატარებისთვის.

მათი არჩევა, ან დანიშვნა დემოკრატიის პრინციპიდან გამომდინარეობს, რადგან საქართველოს კონსტიტუცია მიუთითებს, რომ ხელისუფლების წყაროა ხალხი. ხალხი კი, პირდაპირ ირჩევს საკანონმდებლო ორგანოს, და არაპირდაპირ აღმასრულებელ ხელისუფლებას. ამგვარად დაწესებული პოლიტიკური თანამდებობის პირების ჩამონათვალს გვანჯდის საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“.

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირია:

- საქართველოს პრეზიდენტი;
- საქართველოს პარლამენტის წევრი;
- საქართველოს პრემიერ-მინისტრი;
- საქართველოს მთავრობის სხვა წევრი და მისი მოადგილე;



- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები;
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების წევრები და მათი მოადგილეები.

1.4.1. საქართველოს პრეზიდენტი

არჩევა

საქართველოს პრეზიდენტს 5 წლის ვადით დებატების გარეშე ღია კენჭისყრით ირჩევს **საარჩევნო კოლეგია**. ერთი და იგივე პირი საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს მხოლოდ ორჯერ.

საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობაში შედის 300 წევრი, მათ შორის საქართველოს პარლამენტის და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების ყველა წევრი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების წარმომადგენლები (კვოტების შესაბამისად).

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები იმართება პარლამენტის სასახლეში. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს საარჩევნო კოლეგიის არანაკლებ 30 წევრს.

არჩევნების პირველ ტურში არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს **საარჩევნო კოლეგიის** სრული შემადგენლობის ხმების ორ მესამედს მაინც. თუ პირველ ტურში **საქართველოს პრეზიდენტი** არ აირჩა, მეორე ტურში კენჭი ეყრება პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე 2 კანდიდატს. მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს.

არჩევნების პირველი, ან მეორე ტური შემდგარად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს საარჩევნო კოლეგიის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტა

მოქმედი პრეზიდენტის უფლებამოსილება წყდება ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე.

ასევე იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი პარლამენტმა **იმპიჩმენტის** წესით თანამდებობიდან გადააყენა.

1.4.2. საქართველოს პარლამენტის წევრი

საქართველოს პარლამენტის წევრი აირჩევა საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით.

საქართველოს პარლამენტის წევრი არის სრულიად საქართველოს წარმომადგენელი, სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი განვევა დაუშვებელია.

პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ იგი:

- პარლამენტს მიმართავს პირადი განცხადებით უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;
- იკავებს სტატუსთან შეუთავსებელ თანამდებობას ან ეწევა შეუთავსებელ საქმიანობას;
- მორიგი სესიის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ დაესწრო მორიგი სხდომების ნახევარზე მეტს;
- კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით ცნობილია დამნაშავედ;
- სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში, სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;
- გარდაიცვალა;
- დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას;
- ექვემდებარება უფლებამოსილების შეწყვეტას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით.

1.4.3. საქართველოს პრემიერ-მინისტრი

პარლამენტის მიერ **მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებიდან** 2 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობაზე ნიშნავს **პრემიერ-მინისტრს**, ხოლო პრემიერ-მინისტრი მისი დანიშნიდან 2 დღის ვადაში – **მინისტრებს**. თუ საქართველოს პრეზიდენტი დადგენილ ვადაში არ დანიშნავს პრემიერ-მინისტრს, იგი დანიშნულად ჩაითვლება.

პარლამენტის მიერ ნდობის გამოცხადების კონსტიტუციური პროცედურის მიხედვით, **პარლამენტი ნდობას უცხადებს** საუკეთესო შედეგის მქონე პოლიტიკური პარტიის მიერ წამოყენებული **პრემიერ-მინისტრობის** კანდიდატის მიერ წარდგენილ მთავრობას. **მთავრობის** შემადგენლობასთან ერთად პარლამენტს წარედგინება **სამთავრობო პროგრამა**. ნდობის მისაღებად საჭიროა პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა.

თუ პარლამენტმა მთავრობას დადგენილ ვადაში ნდობა არ გამოუცხადა, შეიძლება კენჭი ეყაროს პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთ მესამედზე მეტის მიერ წამოყენებული პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის მიერ წარდგენილ მთავრობას. ნდობის მისაღებად, ამ შემთხვევაშიც, საჭიროა **პარლამენტის** სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა.

თუ პარლამენტმა მთავრობას დადგენილ ვადაში ნდობა არ გამოუცხადა, საქართველოს პრეზიდენტი დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებს.

უფლებამოსილების შეწყვეტა

პრემიერ-მინისტრს უფლებამოსილება უწყდება:

- გადადგომისას;
- გარდაცვალებისას;



- მის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას;
- კონსტიტუციის დარღვევის ან ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის საფუძველით საქართველოს პარლამენტის მიერ პრემიერ-მინისტრის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შემთხვევაში;
- საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით ნდობის არგამოცხადების და უნდობლობის გამოცხადებისას;
- მთავრობის წევრის საქმიანობასთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავებისას.

გასათვალისწინებელია ასევე, რომ ახალარჩეული პარლამენტის მიერ სრული უფლებამოსილების შექმნისთანავე **მთავრობა** იხსნის უფლებამოსილებას **პარლამენტის წინაშე** და განაგრძობს მოვალეობის შესრულებას ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნამდე. პრემიერ-მინისტრის გადადგომის შემთხვევაში **პრემიერ-მინისტრს** უფლებამოსილება უწყდება გადადგომისთანავე. პრემიერ-მინისტრის გადადგომის, ან მისი უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტის შემთხვევაში მთავრობა განაგრძობს მოვალეობის შესრულებას ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნამდე.

1.4.4. მთავრობის წევრი/მინისტრი/სახელმწიფო მინისტრი

თანამდებობაზე დანიშვნა:

მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო **მინისტრი**. სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა შეიძლება შემოღებულ იქნეს კანონით, განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი ამოცანების შესასრულებლად.

პრემიერ-მინისტრი ნიშნავს და ათავისუფლებს **მინისტრებს**. იგი უფლებამოსილია ერთ-ერთ მინისტრს დააკისროს **პირველი ვიცე-პრემიერის**, აგრეთვე ერთ, ან რამდენიმე მინისტრს – **ვიცე-პრემიერის** მოვალეობა.

მინისტრს უფლებამოსილება უწყდება:

- გადადგომისას;
- გარდაცვალებისას;
- თანამდებობიდან პრემიერ-მინისტრის აქტის საფუძველზე გათავისუფლებისას;
- მის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას;
- კონსტიტუციის დარღვევის, ან ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის საფუძველით საქართველოს პარლამენტის მიერ მინისტრის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შემთხვევაში;
- საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით ნდობის არგამოცხადების და უნდობლობის გამოცხადებისას.

მინისტრი თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადებით მიმართავს პრემიერ-მინისტრს.

1.4.5. მინისტრის მოადგილე

მინისტრს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილეები.

მოადგილეთა რაოდენობა განისაზღვრება სამინისტროს დებულებით, გამომდინარე სამინისტროს ფუნქციებიდან.

მინისტრის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს **პრემიერ-მინისტრი**.

მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე მინისტრის დავალებით ახორციელებს **საპარლამენტო მდივნის ფუნქციას**.

მინისტრის უფლებამოსილების შეწყვეტისას მინისტრის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს უფლებამოსილება უწყდებათ.

ახალი მინისტრის დანიშვნისთანავე მინისტრის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს **პრემიერ-მინისტრი**.

1.4.6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის **უმაღლესი საბჭო** შედგება 4 წლის ვადით არჩეული არაუმეტეს 21 დეპუტატისგან. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების მიერ.

უმაღლესი საბჭოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ იგი:

- უმაღლეს საბჭოს მიმართავს პირადი განცხადებით უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;
- იკავებს სტატუსთან შეუთავსებელ თანამდებობას ან ეწევა შეუთავსებელ საქმიანობას;
- მორიგი სესიის განმავლობაში არასაკმატო მიზეზით არ დაესწრო მორიგი სხდომების ნახევარზე მეტს;
- კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით ცნობილია დამნაშავედ;
- სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში, სასამართლომ ცნო უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;
- გარდაიცვალა;
- დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას;
- ექვემდებარება უფლებამოსილების შეწყვეტას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით.



1.4.7. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის **უმაღლესი საბჭო**.

უმაღლესი საბჭო, როგორც აფხაზეთის მოსახლეობის ინტერესის გამომხატველი სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმური ორგანო, შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით 1991 წელს აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში არჩეული იმ დეპუტატებისაგან და აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს შემადგენლობაში კოოპტაციის წესით შეყვანილი აფხაზეთიდან არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრებისაგან, რომლებიც რეალურად გამოხატავენ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ინტერესებს და რომელთა უფლებამოსილება დადასტურებულია საქართველოს პარლამენტის შესაბამისი დადგენილებებით.

უმაღლესი საბჭოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ:

- უფლებამოსილება მოეხსნა პირადი განცხადებით;
- მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
- სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;
- დაიკავა უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა (გარდა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობისა) ან ეწევა მასთან შეუთავსებელ საქმიანობას;
- დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;
- არასაპატიო მიზეზით 4 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა უმაღლესი საბჭოს მუშაობაში;
- გარდაიცვალა.

1.4.8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრები და მათი მოადგილეები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა შედგება მთავრობის თავმჯდომარისა და მინისტრებისაგან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების შექმნა დასაშვებია მხოლოდ შემდეგ სფეროებში:

- ეკონომიკა, ფინანსები და ტურიზმი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- განათლება, კულტურა და სპორტი;
- სოფლის მეურნეობა.

საქართველოს პრეზიდენტი უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილ პოლიტიკურ სუბიექტებთან კონსულტაციის შემდეგ, **საქართველოს მთავრობის** წინასწარი თანხმობით უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის **მთავრობის თავმჯდომარის** კანდიდატურას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის **მთავრობის თავმჯდომარე** დამტკიცებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის **უმაღლესი საბჭოს** სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო არ დაამტკიცებს **საქართველოს პრეზიდენტის** მიერ წარდგენილ კანდიდატურას, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია 10 დღის ვადაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს იგივე, ან სხვა კანდიდატურა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის **მთავრობის თავმჯდომარის** დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის კანდიდატურას საქართველოს შესაბამისი სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელთან (ხელმძღვანელებთან) შეთანხმებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე**.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობა დამტკიცებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს **უმაღლესი საბჭოს** სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობა, მაგრამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედისა.

უფლებამოსილების შეწყვეტა:

მინისტრი თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადებით მიმართავს მთავრობის თავმჯდომარეს. მინისტრის გადადგომის, ან თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში **მთავრობის თავმჯდომარე** 2 კვირის ვადაში ნიშნავს მთავრობის წევრს.

მინისტრის უფლებამოსილების შეწყვეტისას მინისტრის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს უფლებამოსილება უწყდებათ ახალი მინისტრის დანიშვნისთანავე.

1.4.9. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრები და მათი მოადგილეები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობა შედგება მთავრობის თავმჯდომარისა და მინისტრებისაგან.

მთავრობის შემადგენლობაშია იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის **მინისტრი**.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს **მთავრობის თავმჯდომარე**.

მინისტრს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილეები. მინისტრის პირველ მოადგილეს და მოადგილეებს მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობის **თავმჯდომარე**. მოადგილეთა რაოდენობა განისაზღვრება სამინისტროს დებულებით.



მინისტრი თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადებით მიმართავს მთავრობის თავმჯდომარეს. მინისტრის გადადგომის, ან თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში **მთავრობის თავმჯდომარე** 2 კვირის ვადაში ნიშნავს მთავრობის წევრს.

მინისტრს უფლებამოსილება უწყდება:

- გადადგომისას;
- გარდაცვალებისას;
- მთავრობის თავმჯდომარის მიერ მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში;
- მის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას;
- მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტისას;
- კანონით შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების ან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელებისას;
- საარჩევნო უფლების დაკარგვისას.

1.5. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთა მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების სამართლებრივი ფორმები

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები თავიანთი უფლებამოსილებების განხორციელებისას არამხოლოდ პოლიტიკურ საქმიანობას ეწევიან, არამედ იმავდროულად ისინი მმართველობით, ხოლო ზოგ შემთხვევაში კი, ადმინისტრაციულ ფუნქციას ახორციელებენ.

უფლებამოსილების განხორციელების სწორედ ამ ორგვაროვანი ბუნების გამო საინტერესოა მმართველობითი/ადმინისტრაციული და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესი. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები გადაწყვეტილებების მიღებისას ერთი მხრივ, ხელმძღვანელობენ მკაცრად განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღების პროცედურული წესით, ხოლო მეორე მხრივ, ახორციელებენ პოლიტიკას, რომლის შინაარსიც და განხორციელების წესი არ არის, და არც შეიძლება იყოს განერილი სამართლებრივ რეგულაციებში.¹

ამ საკითხთან მიმართებით, აღსანიშნავია „სახელისუფლებო აქტების“ სამართლებრივი ბუნება. განსხვავებით ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტებისაგან, მათი გასაჩივრების წესიც სხვაგვარია, რადგან, დავის საგანს წარმოადგენს კონსტიტუციური ნორმიდან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგი. ასეთი სახელისუფლებო აქტები არ ექცევა ადმინისტრაციული სამართლის ფარგლებში და შესაბამისად არის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი საკითხი.

1. დატალურად იხ. მე-2 თავი

ასეთის მაგალითად შეიძლება დასახელდეს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება საქართველოს პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შესახებ, რომელიც უნდა განვიხილოთ როგორც სახელისუფლებო აქტი, რადგან მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი ჩანაწერი, რომლითაც საქართველოს პრეზიდენტს ფართო დისკრეციის პირობებში, მინიჭებული აქვს ექსკლუზიური უფლებამოსილება - დანიშნოს პარლამენტის არჩევნები.

1.5.1. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტები

საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები

საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტებია საქართველოს პრეზიდენტის **ბრძანებულება** და **დეკრეტი**.

როგორც საქართველოს თავდაცვის ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და მის საფუძველზე პრეზიდენტი გამოსცემს **ბრძანებას**.

საქართველოს პრეზიდენტის, როგორც საქართველოს თავდაცვის ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება, შეიძლება იყოს როგორც **ნორმატიული აქტი, ისე ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი**.

საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია დადოს საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ნორმატიული აქტია (გამონაკლისია ბრძანებულებები, რომლებიც საკადრო და პერსონალურ საკითხებს ეხება).

საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების, შენარჩუნების, მინიჭებაზე უარის თქმის ან შეწყვეტის საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი. წარდგინების დაკმაყოფილების შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებას, ხოლო განცხადებასა და წარდგინებაზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში – **განკარგულებას**.

საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტების ნაწილი საჭიროებს პრემიერ-მინისტრის თანახელმონერას. თანახელმონერას არ საჭიროებს საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი, რომელიც უკავშირდება:

- პარლამენტის არჩევნების დანიშვნას, პარლამენტის დათხოვნას, პარლამენტის სესიის ან სხდომის მოწვევას;
- კონსტიტუციური შეთანხმების დადებას;
- კანონის ხელმონერას და გამოქვეყნებას, პარლამენტისთვის კანონის შენიშვნებით დაბრუნებას;



- პრემიერ-მინისტრის დანიშვნას; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის დანიშვნას; ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და წევრის თანამდებობაზე განწესებას; ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის წარდგენას, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის დანიშვნას; საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის დანიშვნას;
- სახელმწიფო ჯილდოებისა და პრემიების, საპატიო წოდებების მინიჭებას;
- მოქალაქეობის საკითხთა გადაწყვეტას;
- მსჯავრდებულთა შეწყალებას;
- საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ან სასამართლოსათვის მიმართვას;
- საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებების განხორციელების ორგანიზებას.

საქართველოს პარლამენტისა და პარლამენტის წევრის სამართლებრივი აქტები

საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია მიიღოს **კანონი და დადგენილება**. ასევე **კონცეფცია, რეზოლუცია, მიმართვა, დეკლარაცია** და სხვა აქტები.

საქართველოს პარლამენტის კომიტეტის აქტებია: **დასკვნა, რეკომენდაცია, გადაწყვეტილება**.

ხოლო **კომიტეტის თავმჯდომარე** გამოსცემს განკარგულებებს შიდასაკომიტეტო ორგანიზაციულ საკითხებზე.

პარლამენტის ყველა გადაწყვეტილება ფორმდება დადგენილებით. **პარლამენტის დადგენილება** შეიძლება იყოს ინდივიდუალური ან ნორმატიული ხასიათის. პარლამენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, რომლებიც მოწესრიგებული არ არის **რეგლამენტით** ან სხვა ნორმატიული აქტით, პარლამენტი წყვეტს დადგენილებით.

პარლამენტის წევრი უფლებამოსილია პარლამენტს წარუდგინოს საკანონმდებლო ინიციატივა ინდივიდუალურად, ან პარლამენტის სხვა წევრებთან ერთად.

პარლამენტის თავმჯდომარის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტია **ბრძანება**.

საქართველოს მთავრობის, პრემიერ - მინისტრის და მინისტრების სამართლებრივი აქტები

მთავრობა საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად იღებს **დადგენილებებსა და განკარგულებებს**. მთავრობის დადგენილება არის **ნორმატიული აქტი**.

მთავრობის სამართლებრივ აქტებს ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი.

პრემიერ-მინისტრი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს – **ბრძანებას**.

პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია გააუქმოს მინისტრებისა და სპეციალური დაწესებულებების (მათ შორის, სპეციალური დანიშნულების გასამხედროებელი დაწესებულების) ხელმძღვანელთა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები მათი კანონიერების ან მიზანშეუწონლობის მოტივით.

საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი, გარდა საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, საჭიროებს პრემიერ-მინისტრის **თანახელმოწერას**. თანახელმოწერა ხორციელდება დადგენილი წესით. თანახელმოწერის პროცედურა რეგულირდება „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7³ მუხლით.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს სამართლებრივი აქტები

აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის **უმაღლესი საბჭოები** უფლებამოსილი არიან მიიღონ ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტები, **უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა** და სხვა გადაწყვეტილებების სახით.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს წევრს აქვს **საკანონმდებლო ინიციატივის უფლება**.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო საქართველოს პარლამენტს წარუდგენს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი წესით მიღებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას.

გარდა ამისა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აქტებია: **დასკვნა, რეკომენდაცია, გადაწყვეტილება**.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობის სამართლებრივი აქტები

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის **მინისტრი** გამოსცემს **ბრძანებას**, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ნორმატიული, ისე ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი.

ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს აქვს **საკანონმდებლო ინიციატივის უფლება**.

ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილება ფორმდება მთავრობის დადგენილებით ან განკარგულებით, რომელსაც ხელს აწერს მთავრობის თავმჯდომარე.



ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის ბრძანება შეიძლება იყოს როგორც ნორმატიული, ისე ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი. მინისტრი, რომელიც ხელს აწერს ბრძანებას, პასუხისმგებელია მის კანონიერებასა და მიზანშეწონილობაზე.

1.5.2. შეჯანიზმები, რომლებიც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებს ეხმარება უფლებამოსილებათა განხორციელებაში

პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი განსხვავდება საჯარო მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესისაგან. თანამდებობის პირი საჯარო მმართველობის განხორციელების პროცესში მკაცრად შეზღუდულია, შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება ზუსტი სამართლებრივი პროცედურით. მაგალითად, საქართველოს მინისტრი, ან საქართველოს პრეზიდენტი ამისთვის მკაცრად გაწერილი წესით იღებს ბრძანებას იმ კონკრეტულ გადაწყვეტილებებზე, რისი უფლებამოსილებაც მას კონსტიტუციით და შესაბამისი კანონით აქვს მინიჭებული. თუმცა, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირმა შესაძლოა მიიღოს სამართლებრივად, პროცედურულად სწორი გადაწყვეტილება, მაგრამ პოლიტიკურად არასწორი. თუკი პირველის (**იურიდიული შეცდომის**) შეფასება უფრო მარტივია, მეორე (**პოლიტიკური შეცდომა**) მეტად სუბიექტური შეფასების საგანია.

ზოგჯერ, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს უწევს **პოლიტიკური პასუხისმგებლობის** აღება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მან სამართლებრივი შეცდომა დაუშვა, ეს უფრო მეტად იმის მანიშნებელია, რომ მან თავისი ამომრჩევლის, საზოგადოების დიდი ნაწილის მიერ მისთვის მინიჭებული ნდობა ვერ გაამართლა სრულად ან ნაწილობრივ. ან პირიქით, თუ გუნდმა წარმატებით შეასრულა დანაპირები პოლიტიკური დღის წესრიგი, იგი წარმატებული იქნება შემდეგ არჩევნებში.

რადგან **პოლიტიკური თანამდებობის პირი** იმავდროულად შეიძლება საჯარო დაწესებულებას ხელმძღვანელობდეს, ხშირად პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღება სწორედ ინსტიტუტის გადასარჩენად, მისი რეპუტაციის აღსადგენად ხდება, ვიდრე იურიდიული პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად.


სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებს მათი უფლებამოსილებების, მეტწილად პოლიტიკური საქმიანობის და სახელმწიფო სამსახურის განხორციელებაში კანონმდებლობით ეძლევათ შესაძლებლობა ისარგებლონ **ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების** დახმარებით/ხელშეწყობით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი ქმნის მათთვის ამგვარი დასაქმებულების აყვანის შესაძლებლობას, რომელთა ფუნქცია-მოვალეობები დაკონკრეტებულია ამავე კანონის 78-ე მუხლში. კერძოდ, **ადმინისტრაციული ხელშეკრულებით**, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირმა შეიძლება აიყვანოს **თანაშემნე, მრჩეველი და უშუალოდ მისი აპარატის თანამშრომელი**, მაგალითად სპეციალისტი საზოგადოებასთან, ამომრჩეველთან კომუნიკაციის მიზნით, სა-

ჯარო სიტყვის მწერალი, რომელიც მის საჯარო გამოსვლათა ტექსტზე იმუშავებს, მისი პოლიტიკის შესაბამისად და სხვა. მართალია ყოველ კონკრეტულ საჯარო დაწესებულებაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობასთან დაკავშირებით გარკვეული შეზღუდვებია დაწესებული, თუმცა ამ ინსტიტუტის მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ **სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები** ამ მრავალმხრივი საქმიანობისას სარგებლობდნენ მხარდაჭერით შესაბამისი ინტელექტუალური ან/და ტექნიკური კუთხით და ოპერირებდნენ საზოგადოების ნდობის მოპოვებისა და ამაღლების უზრუნველსაყოფად.

თუ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი ამავდროულად **საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელია**, მაგალითად მინისტრი, მაშინ მას, როგორც დარგობრივი საჯარო მმართველობის განმახორციელებელ პირს, დარგობრივი პოლიტიკის აღსასრულებლად მხარში უდგას მთლიანად **საჯარო დაწესებულება**, როგორც **პროფესიული საჯარო მოხელეების**, ასევე საჯარო დაწესებულებაში **შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების** სახით.

აქ მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს და აქცენტი გაკეთდეს, ერთი მხრივ, მთლიანად საჯარო დაწესებულების და მისი ხელმძღვანელის საქმიანობაზე, როგორც **დარგობრივი პოლიტიკის აღმასრულებელზე**, რომელიც ამ ფუნქციის განხორციელებას სწორედ უწყების აპარატით ახორციელებს, ხოლო მეორე მხრივ, როგორც **პოლიტიკური თანამდებობის პირის** მხარდაჭერაზე. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო სამსახურის განხორციელებისას, **სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირს** მხარში უდგას მთლიანად **საჯარო დაწესებულების** სრული შემადგენლობა, ხოლო პოლიტიკური თანამდებობიდან გამომდინარე ფუნქციის განხორციელებისას, **პოლიტიკური გადაწყვეტილებების**, პოლიტიკური მესიჯების ფორმირებისას, იგი სარგებლობს მხოლოდ **ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების** რესურსით.

შესაბამისად, აღნიშნული მექანიზმების განცალკევება და მკაცრი ზღვრის დადგენა მნიშვნელოვანია **საჯარო მმართველობის** ძირითადი დასავლური პრინციპების, მათ შორის ფუნქცია - საჯარო მმართველობის - **პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპით** განხორციელების უზრუნველსაყოფად.



2. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი და მისი საქმიანობის ფარგლები სახელმწიფო პოლიტიკის დადგენის/გაბარების დროს

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის თანამდებობა **კომპლექსური თანამდებობაა**. თავად ტერმინი „სახელმწიფო-პოლიტიკური“ ასახავს ამ თანამდებობის შინაარსის მრავალმხრივობას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი **სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების** ამომწურავ ჩამონათვალს შეიცავს. თითოეული თანამდებობა, რომელიც კანონმდებლის მიერ სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობად არის დასახელებული, ფუნქცია-მოვალეობების ერთგვაროვნების მიხედვით შეიძლება სამ ძირითად სახედ გავყოთ:

პირველი - კანონმდებელი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობები:

- საქართველოს პარლამენტის წევრი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი.

მეორე - აღმასრულებელი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობები:

- საქართველოს მთავრობის წევრი;
- საქართველოს მთავრობის წევრის მოადგილე;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრის მოადგილე;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრი;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრის მოადგილე.

მესამე - საქართველოს სახელმწიფოს მეთაური სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობა

- საქართველოს პრეზიდენტი.

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების ფუნქცია-მოვალეობები, ზემოაღნიშნული სახეების მიხედვით, სხვადასხვაგვარი შინაარსის მატარებელია, როგორც პოლიტიკის გატარების, ასევე სახელმწიფოს მმართველობაში მონაწილეობის თვალსაზრისით. თითოეული მათგანის უფლება-მოვალეობათა ფარგლებს, პირველ რიგში, კონსტიტუცია ადგენს, ხოლო შემდეგ უკვე ის სპეციალური კანონმდებლობა, რომლითაც მოწესრიგებულია მათი საქმიანობის სფერო.

მათ შორის **პოლიტიკური გადაწყვეტილებების** მიღების ფარგლებიც კი სხვადასხვაგვარი მასშტაბისაა და საკანონმდებლო ორგანოს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ფარგლები განსხვავებულია ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების პოლიტიკური უფლებამოსილებების ფარგლებისგან. რა თქმა უნდა, განსხვავებულია აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების პოლიტიკური უფლებამოსილებების ფარ-


გლებიც, ისევე როგორც მათგან განსხვავებულია საქართველოს პრეზიდენტის პოლიტიკური უფლებამოსილებების სპექტრიც. პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ფარგლებს კანონთა კანონი, **საქართველოს კონსტიტუცია** ადგენს, რითაც ერთგვარად ქმნის გარანტიას როგორც **ხელისუფლების დანაწილების პრინციპის** უზრუნველყოფისთვის, ასევე კომპეტენციათა ნათლად გამიჯვნის აუცილებლობიდან გამომდინარე.

საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს პარლამენტი განსაზღვრავს ქვეყნის **საშინაო და საგარეო პოლიტიკის** ძირითად მიმართულებებს. საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება, პოლიტიკის დადგენის კუთხით, მის მიერ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრაში გამოიხატება.

საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, **საქართველოს მთავრობა** არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის წევრის უფლებამოსილებათა ფარგლები, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას, საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების **აღსრულებაში გამოიხატება**. საქართველოს პრეზიდენტისთვის, როგორც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირისთვის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ფარგლებს საქართველოს კონსტიტუცია ადგენს მისი ძირითადი ფუნქციიდან გამომდინარე; კერძოდ, იგი ახორციელებს ქვეყნის პოლიტიკურ წარმომადგენლობას საგარეო ურთიერთობებში.

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, როგორც პოლიტიკური ფუნქციის განმახორციელებელი და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები, უნდა მოქმედებდეს კონსტიტუციით დადგენილი ღირებულებების ფარგლებში; **პოლიტიკური გადაწყვეტილება**, ესაა მხოლოდ პოლიტიკურ იდეოლოგიასა და ხედვაზე დაფუძნებული ისეთი გადაწყვეტილება, რომელსაც სამართლებრივ პრაქტიკაში სახელისუფლებო აქტების სახელით მოიხსენიებენ. სახელისუფლებო აქტები პოლიტიკური უფლებამოსილებების ფარგლებში მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებებია, რომლებიც მხოლოდ კონსტიტუციით მკაცრად განსაზღვრულ **სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებს** ანიჭებს მოქმედების საშუალებას. მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტის მიერ შეწყალების გადაწყვეტილება ეს სახელისუფლებო აქტია; იგი წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტისთვის, როგორც სახელმწიფო-პოლიტიკური პირისთვის, ექსკლუზიურად, კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებას, როგორც ჰუმანურობის გამოხატულებას.

საქართველოს მთავრობის მიერ კოვიდ-19 პანდემიის ფარგლებში სხვადასხვა შეღავათების დამდგენი გადაწყვეტილება წარმოადგენს სახელისუფლებო აქტს - **პოლიტიკურ გადაწყვეტილებას**, რომელიც მართალია პირდაპირ კანონიდან არ გამომდინარეობს, როგორც კანონქვემდებარე აქტი, თუმცა არის კონსტიტუციით გარანტირებული სოციალური სახელმწიფოს პრინციპის რეალიზება.





სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების ფუნქციური ურთიერთგამიჯვნის აუცილებლობა განპირობებულია საქმიანობის კომპლექსურობითა და მრავალფეროვნებით. სახელმწიფოს ცენტრალური მმართველობითი საქმიანობა, რაც **სახელმწიფო მოსამსახურის** სტატუსში ვლინდება, გულისხმობს სპეციალურ კანონებში მკაცრად, ნათლად და ზუსტად განერილ უფლებამოსილებებს. სწორედ ეს კონკრეტული უფლებამოსილებები ქმნიან ამა თუ იმ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის შინაარსს და ადგენენ **მმართველობის ფარგლებს**. სახელმწიფო მოსამსახურე ხელისუფლების სამივე შტოს არჩევით ან დანიშვნით თანამდებობაზე კონსტიტუციით ან სპეციალური კანონით განწესებული პირების საერთო ტერმინია.

საკანონმდებლო ორგანოს სახელმწიფო მოსამსახურის, დეპუტატის უფლებამოსილებები მოწესრიგებულია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით. კერძოდ, დეპუტატი საკანონმდებლო პროცესში, საქმიანობაში აქტიური ჩართულობით, საკანონმდებლო ინიციატივების წარდგენით, საკომიტეტო საქმიანობაში მონაწილეობით და სხვა, **ახორციელებს სახელმწიფო სამსახურს**.

აღმასრულებელი შტოს სახელმწიფო მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობები გამომდინარეობს „მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონიდან; კერძოდ, კანონის მე-8 მუხლით განსაზღვრულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის, როგორც სახელმწიფო თანამდებობის პირის უფლებამოსილებანი, რომლებიც მიმართულია აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის განსახორციელებლად. მთავრობის ხელმძღვანელობა და ამ უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები, რომლის საფუძველიც კონსტიტუცია და საქართველოს კანონმდებლობაა, **პრემიერ-მინისტრის**, როგორც სახელმწიფო მოსამსახურის თანამდებობის შინაარსს ქმნის. მთავრობის საქმიანობის ორგანიზება, მინისტრების საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი, მთავრობის სხდომების მოწვევა, მთავრობის დადგენილებებსა და განკარგულებებზე ხელმოწერა და სხვა, პრემიერ-მინისტრის, როგორც სახელმწიფო მოსამსახურის, ფუნქციებია.

საქართველოს მინისტრის უფლებამოსილებები დადგენილია „მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლით; შესაბამისი სამინისტროს ხელმძღვანელობა დარგობრივი პოლიტიკის აღსრულების ფუნქციას გულისხმობს; შესაბამისად, **მინისტრი**, როგორც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, სახელმწიფო მოსამსახურის მანდატით საქმიანობს სწორედ იმ ნორმატიული აქტების აღსრულების გზით, რომელიც **დარგობრივი მმართველობის** სფეროში არსებობს. ასევე, მთავრობის სხდომებში მონაწილეობა, პრემიერ-მინისტრისთვის სამინისტროს საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენა და სხვა, მინისტრის მიერ **სახელმწიფო მოსამსახურის** ფუნქციის განხორციელებას გულისხმობს.

ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამის სახელმწიფო მოსამსახურეთა საქმიანობის მომწესრიგებელია: საქართველოს კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“, აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები, აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ კანონები, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს რეგლამენტები, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების **მთავრობის რეგლამენტები**.

საქართველოს პრეზიდენტის, როგორც **სახელმწიფო მოსამსახურის**, უფლებამოსილებები **კონსტიტუციაშია** განწესებული. კონსტიტუციის 52-ე მუხლი განსაზღვრავს იმ უფლებამოსილებებს, რომლებსაც საქართველოს პრეზიდენტი, როგორც სახელმწიფო მოსამსახურე ახორციელებს. ქვეყნის თავდაცვის ძალების უმაღლესი მთავარსარდლობა არის უფლებამოსილება, რომელიც სახელმწიფო სამსახურის უპირველესი გამოხატულებაა. **საქართველოს პრეზიდენტი**, როგორც სახელმწიფო მოსამსახურე, მოქმედებს მაშინ, როდესაც წყვეტს მოქალაქეობის საკითხს, ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ელჩებს და დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელებს, ანიჭებს სახელმწიფო ჯილდოებსა და პრემიას და სხვა.

3. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, როგორც საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირი და მისი უფლებამოსილება

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის **სამუშაო ადგილი** საჯარო დაწესებულებაა.

საჯარო დაწესებულებები საბიუჯეტო ორგანიზაციებია. მათი აღმნიშვნელი კრებსითი ტერმინია - საჯარო სექტორი. საჯარო სექტორი ფართო გაგებით ყველა იმ საჯარო დაწესებულებას მოიცავს, რომელიც ფინანსდება **სახელმწიფო ბიუჯეტით** და ამავდროულად ახორციელებს ფუნქციას - **საჯარო მმართველობა**. საჯარო სექტორში დასაქმების სამართლებრივი ურთიერთობები უმეტესწილად საჯარო-სამართლებრივი ნორმებითაა მოწესრიგებული, თუმცა დასაქმებულთა მცირე ნაწილი შრომითი კანონმდებლობით მიიღება შესაბამის პოზიციებზე სამუშაოდ. საჯარო სექტორში ვხვდებით მრავალფეროვან საქმიანობებს, რაც განპირობებულია თავად საჯარო მმართველობის ფუნქციის მრავალმხრივობით.

იმავდროულად, საჯარო სექტორში გარკვეულ ფუნქციათა ერთგვაროვნება განაპირობებს კონკრეტული დასაქმების ფორმის სტატუსის განსაზღვრას. სწორედ **სახელმწიფოს სამსახური** და ამავდროულად **პოლიტიკური საქმიანობა** არის ის ერთგვაროვნება, რომლის საფუძველზეც კანონმდებელმა ერთ საერთო სტატუსად გამოყო **სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი**.

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი წარმოადგენს დასაქმების საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეს სუბიექტს. იგი ნაწილობრივ სარგებლობს იმ უფლებებითა და მოვალეობებით, რაც დადგენილია დასაქმებულთათვის საჯარო სექტორში და ამით განსხვავდება პროფესიული საჯარო მოხელისა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისგან, რომელთა მიმართაც „**საჯარო სამსახურის შესახებ**“ საქართველოს კანონი სრულად მოქმედებს. თუმცა, საჯარო მოსამსახურეებსა და სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირებს ის საერთო აქვთ, რომ ორივე კატეგორია საჯარო დაწესებულებაში დასაქმების საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები არიან. მიუხედავად ამისა, მათ შორის არის უდიდესი სხვაობა სამსახურში მიღების, კარიერის მართვის, გათავისუფლების, უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრის, უფლების დაცვისა და სხვა ურთიერთობათა კუთხით.

3.1. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების ფარგლები სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირზე

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს იმ კონკრეტულ ნორმათა ჩამონათვალს, რომელთა შინაარსი ვრცელდება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირზე, როგორც დასაქმების საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტზე. კერძოდ, პირი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის სტატუსს ვერ შეიძენს და ვერ განწესდება თანამდებობაზე თუ იგი ნასამართლევია განზრახი დანაშაულისათვის ან მას სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს **საჯარო სამსახურში** შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება. აგრეთვე, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებო-

ბის პირის თანამდებობაზე ვერ განწესდება პირი, თუ მან სამსახურში მიღებისას არ წარადგინა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ან წარდგენილი ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ადასტურებს მის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტს.

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, როგორც საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული, შესაძლებელია სამსახურებრივი მივლინების ფარგლებში ახორციელებდეს მის უფლებამოსილებებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. სამსახურებრივი მივლინებისას სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირს უფლება აქვს მიიღოს კანონით გათვალისწინებული ანაზღაურება, რაც უფლებამოსილებების სამსახურებრივი მივლინებით განხორციელებისას მიეცემა ნებისმიერ დასაქმებულს საჯარო სექტორში. აღნიშნულის სამართლებრივ საფუძველს ქმნის „**საჯარო სამსახურის შესახებ**“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლი.

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიმართ, როგორც ჩვეულებრივი დასაქმებულის მიმართ საჯარო დაწესებულებაში, მოქმედებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების საფუძვლების შესახებ. მაგალითად, დეპუტატიც, მთავრობის წევრიც და საქართველოს პრეზიდენტიც როგორც დასაქმებული პირები, უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ კუთვნილი შვებულების უფლებით და მათზე ვრცელდება ამ დროს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის შინაარსი, რა დროსაც მათ უნდა შეუჩერდეს სამსახურებრივი უფლებამოსილებები საერთო წესით. ამასთან, სამსახურებრივი უფლებამოსილება ჩერდება დროებითი შრომისუუნარობის პერიოდითაც, ისევე როგორც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-2 პუნქტის “დ-თ” ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში.

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი სარგებლობს ასევე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლით გათვალისწინებული ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების უფლებით. იგი, როგორც საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირი, უფლებამოსილია ისარგებლოს როგორც ანაზღაურებადი, ასევე ანაზღაურების გარეშე შვებულებით ბავშვის მოვლის გამო და ახალშობილის შვილად აყვანის გამო. **სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის** მანდატი ვერ იქნება ამ დროს შემზღვეველი საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირებისათვის დადგენილი შეღავათებითა და უფლებებით სარგებლობის ნაწილში, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებით სარგებლობისას.



ყოველივე ზემოთქმულის გასამყარებლად კანონმდებელი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებზე ავრცელებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 124-ე მუხლის მოქმედებას და ადგენს, რომ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის, როგორც სახელმწიფო სამსახურის განმახორციელებლის მოღვაწეობა ითვლება **სამსახურის სტაჟში**. შესაბამისად, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები სამსახურის სტაჟის ნაწილში იგივენაირი უფლებებით სარგებლობენ, როგორც სხვა დასაქმებულები საჯარო დაწესებულებაში.

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებს უფლება აქვთ, ასევე, ისარგებლონ საქართველოს ორგანული კანონით „**შრომის კოდექსით**“ გათვალისწინებული დასვენების და უქმე დღეებით. შესაბამისად, ისინი არ არიან ვალდებული განახორციელონ უფლებამოსილებები საყოველთაოდ აღიარებულ უქმე დღეებში და ისვენებენ საერთო წესით. თუმცა, პოლიტიკური დღის წესრიგის კვალდაკვალ, მათ მიერ დასვენების და უქმე დღეებში განხორციელებული უფლებამოსილებები იგივე იურიდიული ძალის მქონეა, როგორც სამუშაო დღეებში განხორციელებული უფლებამოსილებები.

3.2. სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის შრომის ანაზღაურება

საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ აწესრიგებს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების (გარდა საქართველოს პარლამენტის წევრისა) **შრომის ანაზღაურების** გაცემის წესსა და პირობებს.

პარლამენტის წევრის გასამრჯელოზე ვრცელდება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის N23 დანართით დადგენილი ზღვრები. თუმცა, პარლამენტის წევრის და თანამდებობის პირების გასამრჯელოს კონკრეტული რაოდენობა დადგენილია **პარლამენტის რეგლამენტით**.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს და პოლიტიკური თანამდებობის პირს **სახელფასო დანამატი** და **ფულადი ჯილდო** არ ეძლევა.

3.3. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, როგორც მენეჯერი და ლიდერი

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპლექსური თანამდებობაა. მასში თავმოყრილია მრავალფეროვანი უფლება-მოვალეობები. ფუნქციათა მრავალფეროვნება უფრო მეტად იზრდება, როდესაც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი ამავდროულად **საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელია**. საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის ფუნქცია გულისხმობს უმაღლესი **მენეჯერული** პოზიციისთვის გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებას.

თანამედროვე გამოწვევები საჯარო დაწესებულებებში **მენეჯერი-ლიდერების** როლზე აკეთებს აქცენტს. მხოლოდ უბრალო მენეჯერული მართვა ვერ იძლევა მისაღებ შედეგს და გუნდურობის, კოლეგიალობის და მაღალი მმართველობითი კულტურის უზრუნველსაყოფად, მენეჯერისთვის ლიდერული უნარ-ჩვევების გააქტიურების აუცილებლობაზე მიგვანიშნებს.

სწორედ ამიტომ მიიჩნევა, რომ წარმატებულია ის **საჯარო დაწესებულება**, რომლის ხელმძღვანელიც, მაგალითად მინისტრი, ამავედროულად, სანიმუშო ლიდერია.

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, როგორც მენეჯერი ახორციელებს უფლებამოსილებებს, როდესაც იგი განსაზღვრავს მისდამი დაქვემდებარებული საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, როდესაც იღებს გადაწყვეტილებას საჯარო დაწესებულების სტრუქტურული აგებულების, ბიუჯეტის მართვის და ადამიანური რესურსების მართვის შესახებ, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება, საჯარო მოსამსახურეთა წახალისება, მათ მიმართ, კანონით დადგენილ შემთხვევებში დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება, საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, ამ თუ იმ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადება და სხვა, **მენეჯერული უფლებამოსილებებია**.

მენეჯერული უფლებამოსილებები, რომლებიც კანონმდებლობით ამომწურავად არის ჩამოთვლილი, უნდა ხორციელდებოდეს ლიდერული მართვის მეთოდებით და **ლიდერის უნარ-ჩვევებით**. ორგანიზაციული კულტურის შექმნა, გუნდის მართვა, კოლაბორაციული მმართველობა, ცვლილებების მართვა, გუნდის მოტივირება, წახალისება და მაღალი ეთიკური კულტურის ჩამოყალიბება არის ის ელემენტები, რაც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს ლიდერად აქცევს და მის მიმართ, პირველ რიგში, საჯარო მოსამსახურეთა ნდობა მაღლდება, ხოლო შემდეგ ერთობლივი მუშაობის შედეგებით - საზოგადოების.

4. ქვეყნის ანტიკორუფციული პოლიტიკა

სახელმწიფო მმართველობის ღიაობა, გამჭვირვალობა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება, მოითხოვს ქმედით **ანტიკორუფციული პოლიტიკას**. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ ქვეყანაში არსებობს შესაბამისი მექანიზმი საჯარო ფინანსების მართვისა და სახელმწიფო შესყიდვების **გამჭვირვალობის** უზრუნველსაყოფად, ასევე უზრუნველყოფილია თანამდებობის პირების შემოსავლებისა და ქონების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება.

კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულება ქვეყანაში **კანონის უზენაესობის** განმტკიცებას ემსახურება.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში კოორდინაციისა და უწყებათაშორისი ურთიერთობის ძირითადი მექანიზმი საქართველოში არის **ანტიკორუფციული საბჭო**, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყანაში ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავებასა და მის განხორციელებაზე. საბჭოს ფუნქციებია:

- ანტიკორუფციული საქმიანობის კოორდინაცია;
- ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- სტრატეგიული დოკუმენტების პერიოდული განახლება და მათი განხორციელების ზედამხედველობა;
- შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება; საერთაშორისო რეკომენდაციების განხორციელება.

ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა და ღიაობა არის კომპლექსური და მნიშვნელოვანი საკითხები დემოკრატიული მმართველობისათვის.

ქვეყნის **ანტიკორუფციული კანონმდებლობა** ორიენტირებულია სრულყოფილად დაარეგულიროს **ინტერესთა კონფლიქტის** შესაძლო შემთხვევები და მოახდინოს ინტერესთა შეუთავსებლობის პრევენცია. ამ სფეროს კონტროლი მნიშვნელოვანი ანტიკორუფციული მექანიზმია, რადგან, როგორც კი აღნიშნული სივრცე დაურეგულირებელი რჩება, პრაქტიკაში არსებობს საჯარო რესურსის გამოყენებით კერძო ინტერესების გატარების ალბათობა. მაგალითად, საკუთარი საწარმოების უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენება, რაც თავისთავად კორუფციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს.

4.1. მიუკერძოებლობის პრინციპის განსაკუთრებულად მოქმედება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთა მიმართ

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები სწორედ მათი პოლიტიკური შეხედულებების გამო არიან არჩეული/დანიშნული თანამდებობის პირებად, ისინი თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ემსახურებიან არა რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური პარტიის ინტერესებს, არამედ სახელმწიფოსა და

მთელი საზოგადოების ინტერესებს. ისინი მათზე კონსტიტუციით და კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას სწორედ მთელი საზოგადოების და არამხოლოდ საკუთარი, ან მისი პარტიის ამომრჩეველთა საკეთილდღეოდ იყენებენ. შესაბამისად, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები, თუნდაც **პოლიტიკური გადანაცვების** მიღებისას, მთელ საზოგადოებას ემსახურებიან. ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი გადანაცვების მიღებისას, ისინი იყვნენ მიუკერძოებელი, და უპირატესობა მთლიან საზოგადოებას, **საჯარო ინტერესებს** მიანიჭონ და არამხოლოდ მათი ამომრჩევლების, ან საკუთარი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს.

4.2. ანტიკორუფციული კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებები

საქართველოს მთავრობის ხედვით **ანტიკორუფციული პოლიტიკა** პრევენციულ ღონისძიებებზე უნდა იყოს ორიენტირებული, ხოლო ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია ქვეყნის წინაშე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით იდენტიფიცირებული გამოწვევების ეფექტიანი გადაჭრისა და კორუფციული რისკების შემცირებისაკენ არის მიმართული.

კორუფციის პრევენცია, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე სახელმწიფო უწყებათა ჩამოყალიბება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის **ევროინტეგრაციის** გზაზე.

ფართო გაგებით, ანტიკორუფციულ კანონმდებლობად შეიძლება მოვიხსნათ ყველა ის სამართლებრივი აქტი, რომელიც ხელს უწყობს ეფექტიანი ანტიკორუფციული და იმავდროულად, თანაბომიერ შეზღუდვებზე დაფუძნებული, ანტიკორუფციული, სამართლებრივი რეგულაციების დანერგვას.

ანტიკორუფციული კანონმდებლობა მოიცავს „**საჯარო დანებსებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ**“ 1997 წლის 17 ოქტომბერს მიღებულ კანონს და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტებს, მათ შორის **საჯარო სამსახურში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების** მარეგულირებელ საქართველოს მთავრობის დადგენილებას. პარლამენტის წევრებზე კი, ასევე ვრცელდება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისი ნორმები. ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებზე დამატებით ვრცელდება შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტები.

აღნიშნული სამართლებრივი აქტების შინაარსის გაცნობა აუცილებელია სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისათვის, ვინაიდან ისინი ადგენენ თანამდებობის პირების უფლებებსა და მოვალეობებს, საჯარო და კერძო ინტერესებს შორის შეუთავსებლობის და **კორუფციის პრევენციასთან** დაკავშირებულ საკითხებს.

ინტერესთა შეუთავსებლობა საჯარო სამსახურში არის კერძო და საჯარო ინტერესების დაპირისპირება. კანონის მიერ ამ საკითხის მკაცრად დარეგულირება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ინტერესთა შეუთავსებლობა მნიშვნელოვანი საფრთხის მომტანი შეიძლება გახდეს სახელმწიფოსა და თვით საჯარო მმართველობისთვის.



უპირველეს ყოვლისა, სწორედ ინტერესთა შეუთავსებლობა შეიძლება გახდეს მიზეზი იმისა, რომ სათანადოდ არ მოხდეს **საჯარო ინტერესის** გათვალისწინება. ვინაიდან თანამდებობის პირი თავის პირად/კერძო ინტერესებს ანიჭებს უპირატესობას და შედეგად, დგება ინტერესთა კონფლიქტის ან კორუფციის საფრთხე.

ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხებთან დაკავშირებული დარღვევების ყველაზე რთული ფორმა **კორუფციული სამართალდარღვევაა**. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ დანაშაულებთან, რაზეც სახელმწიფოს მხრიდან უმკაცრესი რეაგირებაა აუცილებელი.

4.3. დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება

„საჯარო დანებსებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი ადგენს იმ თანამდებობის პირთა ჩამონათვალს, რომლებსაც გააჩნიათ თანამდებობის პირთა **ქონებრივი დეკლარაციის** ყოველწლიურად წარდგენის ვალდებულება. ქონებრივი დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება წარმოადგენს **ანგარიშვალდებულების**, ღიაობის და გამჭვირვალობის, საჯარო სამსახურში **მიუკერძოებლობის** დამკვიდრების საფუძველს და ქმნის ერთგვარ სურათს თანამდებობის პირის **კეთილსინდისიერების** შესახებ, რაც არის თანამდებობის პირის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების ფორმირების საფუძველი. ღია, გამჭვირვალე და სწორი გაცხადება ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის, კორუფციული სამართალდარღვევების **პრევენციას**, ინტერესთა შეუთავსებლობისა და ინტერესთა კონფლიქტების აღკვეთას ემსახურება. მართალია, თანამდებობის პირის **ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციას** ყოველწლიურად, გარდა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, სხვა თანამდებობის პირებიც ავსებენ, თუმცა საზოგადოების მხრიდან **მაღალ ინტერესს** სწორედ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთა მიერ დეკლარირებული ინფორმაცია იპყრობს. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ საზოგადოება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების უმეტესობის თანამდებობებზე განწესებაში თავად იღებს მონაწილეობას არჩევნების საშუალებით.

ნებისმიერი თანამდებობის პირი ვალდებულია თანამდებობაზე დანიშნვიდან ორი თვის ვადაში შეავსოს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია და გაასაჯაროს მისი და მისი ოჯახის წევრების **შემოსავლები**, უძრავი და მოძრავი ქონება, შეთავსებადი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, **განაცხადოს ქონებრივი ინტერესები** და სხვა.

ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსების ვალდებულება თანამდებობის პირს აქვს ყოველწლიურად უფლებამოსილების განხორციელების პერიოდის განმავლობაში. ეს ვალდებულება სრულდება გათავისუფლებიდან ერთი წლის განმავლობაში. კანონმდებლის აღნიშნული მიდგომა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ინტერესთა კონფლიქტების **პრევენციას** და კორუფციული სამართალდარღვევების თავიდან აცილების მიზანს.

4.4. რა რეგულაციები ეხებათ თანამდებობის პირების ოჯახის წევრებს და რატომ

მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობას დამატებით შემოაქვს თანამდებობის პირის **ოჯახის წევრის** შესახებ რეგულაციები. თანამდებობის პირსა და მისი ოჯახის წევრს შორის, რა თქმა უნდა, არის პიროვნული კავშირები, ამიტომ ამგვარი რეგულაცია მიუთითებს სახელმწიფოს მცდელობაზე, წინასწარ მიიღოს ზომები, რათა არ მოხდეს **საჯარო ინტერესებში კერძო/პირადი ინტერესების შემოჭრა**, რამაც შესაძლებელია თანამდებობის პირი სუბიექტური და არაკეთილსინდისიერი გადაწყვეტილებების მიღებამდე მიიყვანოს.

აღნიშნული პრინციპი ითვალისწინებს, ერთი მხრივ, საქმიანობის შეზღუდვას პირდაპირ ქვემდებარეობის შემთხვევაში, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის ოჯახის წევრების შესახებ **ინფორმაციის გასაჯაროებას დეკლარაციაში**.

პირველი შეზღუდვა განპირობებულია ოჯახის წევრის სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე. სწორედ იმის გამო, რომ **ოჯახის წევრზე**, ან ახლო ნათესავზე სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს ეკრძალება ზედამხედველი ფუნქციის განხორციელება.

„ახლო ნათესავში“ იგულისხმება პირის ოჯახის წევრი, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი, გერი, და და ძმა, აგრეთვე მშობლის და შვილის გერები.

ზოგადად, **ინტერესთა შეუთავსებლობად** მიიჩნევა ნებისმიერი ფორმის სამსახურებრივი დაქვემდებარება თანამდებობის პირსა და მის ახლო ნათესავს შორის. თუმცა, არსებობს გამონაკლისი, როდესაც თანამდებობის პირის ოჯახის წევრი, ახლო ნათესავი ან/და პირიქით, აღნიშნულ პოზიციას დაიკავებს კონკურსის წესით. ასეთ შემთხვევაში, კანონის თანახმად, ინტერესთა შეუთავსებლობას ადგილი არ აქვს.

თანამდებობის პირებთან დაკავშირებით დაწესებულია დამატებითი რეგულაციები. პირველის თანახმად - თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს, უფლება არ აქვთ ეკავოთ რაიმე თანამდებობა, ან ასრულებდნენ რაიმე სამუშაოს საქართველოში რეგისტრირებულ იმ საწარმოში, რომლის სამენარმეო საქმიანობის კონტროლიც ამ თანამდებობის პირის, ან მისი სამსახურის უფლებამოსილებაა. აღნიშნული აკრძალვით ხდება **რისკების შემცირება**, რათა არ მოხდეს კერძო და საჯარო ინტერესების კონფლიქტი.

მეორე შეზღუდვა ეხება მსგავსი, დაქვემდებარებაში არსებული საწარმოს წილების, ან/და აქციების ფლობას. თანამდებობის პირს, მისი ოჯახის წევრს, უფლება არა აქვთ ფლობდნენ აქციებს, ან კაპიტალის წილს იმ საწარმოში, რომლის საქმიანობის კონტროლიც ამ თანამდებობის პირის, ან მისი სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება.

ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები ავალდებულებს საჯარო მოსამსახურეს, დაიცვას მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის პრინციპები და არ დააყენოს პირადი/კერძო ინტერესები საჯარო ინტერესების წინ. სწორედ ამ ბალანსის მიღწევის გამო არეგულირებს კა-

ნონმდებლობა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის, მის მიერ ნებისმიერი ფორმით უფლებამოსილების განხორციელებისას ოჯახის წევრთან, ან/და ახლო ნათესავთან ურთიერთობას.

ოჯახის წევრებს შორის განსაკუთრებით მჭიდრო კავშირის გამო, მნიშვნელოვანია, რომ დეკლარაციების გასაჯაროებისას საზოგადოებისათვის ცნობილი იყოს არა მხოლოდ ის, თუ რა შემოსავლები გააჩნდა თანამდებობის პირს წლის განმავლობაში და რა ქონება შეიძინა თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, არამედ მისი და მის ოჯახის წევრების ქონებრივი მდგომარეობაც, მათ შორის ოჯახის წევრის სამეწარმეო საქმიანობის მონაცემები.

4.5. ყველაზე ხშირად გავრცელებული ინტერესთა კონფლიქტები და მათგან თავის არიდების მექანიზმები, აცილება და თვითაცილება

პარალელური საქმიანობა საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრისა და საქართველოს მთავრობის წევრისათვის დადგენილია:

- 1. საქართველოს პრეზიდენტს** უფლება არ აქვს, ეკავოს სხვა თანამდებობა, იღებდეს ხელფასს, ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიმე სხვა საქმიანობისათვის. საქართველოს პრეზიდენტი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი.
- 2. საქართველოს მთავრობის** წევრს უფლება არ აქვს, ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა, იღებდეს ანაზღაურებას სხვა საქმიანობისათვის, გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისა.
- 3. პარლამენტის წევრი** შეიძლება ეწეოდეს პარტიულ და საზოგადოებრივ საქმიანობას. პარლამენტის წევრი შეიძლება ეწეოდეს სამეცნიერო, პედაგოგიურ და სახელოვნებო საქმიანობას, თუ ეს საქმიანობა არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებას. ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულება გულისხმობს სამეცნიერო, სასწავლო, სახელოვნებო დაწესებულებებში თანამდებობის პირის მიერ საკადრო, დისციპლინურ და სხვა საკითხებზე ადმინისტრაციული გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღების უფლებამოსილებას.

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ მხოლოდ პრეზიდენტს ეკრძალება პოლიტიკური პარტიის წევრობა, რადგან იგი პრეზიდენტის თანამდებობის დაკავების შემდეგ განიხილება, როგორც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არბიტრი, მათ შორის პოლიტიკური კრიზისის შემთხვევაში. შესაბამისად, პოლიტიკური პარტიისგან თავისუფლება მას მეტ დამოუკიდებლობის ხარისხს ანიჭებს.

ინტერესთა შეუთავსებლობის ფორმებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის შეუთავსებლობა სამეწარმეო საქმიანობასთან.

აღნიშნული სფეროს მოსაწესრიგებლად საკმაოდ ვრცელი და მკაცრი რეგულაციებია დაწესებული.

კერძო და საჯარო ინტერესების კონფლიქტის ყველაზე ხშირი შემთხვევები სწორედ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების დროს გვხვდება. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ საჯარო მოსამსახურეების მხრიდან ყველაზე ხშირად სწორედ აღნიშნული ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები ირღვევა.

კანონმდებლობა არ უკრძალავს **სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს** წილის, ან/და აქციების ფლობას. თუმცა, კრძალავს ნებისმიერი ფორმით სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას. მას მხოლოდ **აქციებისა და წილის** ფლობა შეუძლია.

მართალია, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი შეიძლება იყოს აქციების, ან/და წილის მფლობელი, მაგრამ აღნიშნულ შემთხვევაშიც შეიძლება იყოს **ინტერესთა შეუთავსებლობა**. ამიტომ კანონი ავალდებულებს თანამდებობის პირს, **მინდობის ხელშეკრულებით** გადასცეს სამართავად საწარმოს კაპიტალის წილი და აქციათა პაკეტი სხვა პირს, სამსახურის გავლის ვადით. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა ავტომატურად წარმოადგენს ინტერესთა შეუთავსებლობას.

გარდა ამისა, თანამდებობის პირს უფლება არ აქვს, ეკავოს რაიმე თანამდებობა, რომელიმე საწარმოში. მას უფლება არ აქვს, უშუალოდ განახორციელოს არაერთჯერადი საქმიანობა მოგების მიზნით მატერიალური ფასეულობებისა და ფინანსური საშუალებების სამართავად და იყოს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, საკონტროლო, სამეთვალყურეო და სარევიზიო ორგანოების წევრი.

4.6. შეთავსებადი საქმიანობის უფლება

ინტერესთა შეუთავსებლობის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ პარალელურად სხვა სახის საქმიანობის განხორციელება. მსგავსი შემთხვევები რეგულირებულია კანონით და აგრეთვე დადგენილებით.

როდესაც პირი ასრულებს პარალელურად ორ ფუნქციას და საქმიანობს ორ სფეროში, მას შესაძლოა წარმოეშვას **ინტერესთა კონფლიქტი**, რამაც შესაძლებელია ხელი შეუშალოს მის მიერ საჯარო უფლებამოსილების სრულყოფილად და ობიექტურად განხორციელებას.

იდეურად, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევა არ არის დაკავშირებული დამატებით ანაზღაურებასთან. შესაძლოა, ანაზღაურების გარეშე საქმიანობაც წარმოადგენდეს ინტერესთა შეუთავსებლობას, ვინაიდან იგი ხორციელდება **საჯარო უფლებამოსილების** აღსრულების პარალელურად. მაგალითად, თუ პოლიტიკური თანამდებობის პირი პარალელურად ახორციელებს ჟურნალისტურ საქმიანობას, თუნდაც ანაზღაურების გარეშე.

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს შეუძლია განახორციელოს:

- **სამეცნიერო საქმიანობა**, როგორცაა სამეცნიერო სტატიის ან ნაშრომის გამოქვეყნება, სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა, სამეცნიერო-კვლევით პროგრამაში მონაწილეობა;

- **პედაგოგიური საქმიანობა**, როგორცაა ლექციის წაკითხვა, ტრენინგებისა და სხვა სასწავლო პროგრამების წარმართვა და პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების სხვა სახით გაზიარება;
- **შემოქმედებით საქმიანობა**, როგორცაა კულტურული ფასეულობების, როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური სახით შექმნა, აღდგენა, ან/და ინტერპრეტაცია;
- სასპორტო საქმიანობა.

4.7. ადმინისტრაციული გადაცდომა/ჯარიმა

ინტერესთა შეუთავსებლობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმებიდან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია **დისციპლინური წარმოების** დაწყება იმ პირის მიმართ, რომელმაც ჩაიდინა ინტერესთა შეუთავსებლობის მარეგულირებელი ნორმებით აკრძალული ქმედება, რომლის დადასტურების შემთხვევაშიც დგება **დისციპლინური პასუხისმგებლობა**.

აღნიშნულს იწვევს **ეთიკის ნორმებისა და ქცევის ზოგადი წესების** უგულებელყოფა, ან დარღვევა. გამომდინარე დარღვევის ხარისხიდან და დამდგარი შედეგიდან, შესაძლებელია ეს დარღვევა მძიმე კატეგორიის გადაცდომად ჩაითვალოს.

აღსანიშნავია, რომ **საჯარო სამსახურის ბიუროს** მიერ ხორციელდება თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის **დეკლარაციების მონიტორინგი**. სწორედ, მონიტორინგის პროცესში ხდება დეკლარაციაში არსებული ინფორმაციის გადამოწმება და თანამდებობის პირის მიერ არასწორი, ან არასრული ინფორმაციის წარდგენის შემთხვევაში, შესაბამისი **სამართლებრივი რეაგირება**. თანამდებობის პირთა დეკლარაციაში არსებული დარღვევების ხარისხიდან გამომდინარე, არსებობს განსხვავებული სანქციები და რეაგირების განსხვავებული ზომები:

- თუ დარღვევის ხარისხი უმნიშვნელოა, კანონმდებლობით იგი განისაზღვრება, როგორც **არაარსებითი დარღვევა** და ასეთ შემთხვევაში ბიურო უარყოფითად აფასებს დეკლარაციას და ბიუროს უფროსის განკარგულებით აფრთხილებს თანამდებობის პირს. დარღვევის განმეორების შემთხვევაში თანამდებობის პირი ჯარიმდება;
- თუ დარღვევის ხარისხი მნიშვნელოვანია, ასეთ შემთხვევაში ბიურო იღებს გადაწყვეტილებას დეკლარაციის უარყოფითად შეფასებისა და დეკლარაციაში არსებითი დარღვევის არსებობის თაობაზე და გამოსცემს **განკარგულებას თანამდებობის პირის დაჯარიმებაზე**. ჯარიმის ოდენობა არის თანამდებობის პირის თანამდებობრივი სარგოს 20%, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა;
- **დეკლარაციის მონიტორინგის** პროცესში ბიუროს მიერ პირის ქმედებაში დანაშაულის სავარაუდო ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, ბიურო შესაბამის დეკლარაციასა და წარმოების მასალებს შემდგომი რეაგირებისათვის უგზავნის სათანადო სამართალდამცავ ორგანოს.

4.8. ეთიკის ნორმების მნიშვნელობა

თანამედროვე მსოფლიოში ეთიკის საკითხები პოლიტიკისა და სახელმწიფოს მართვაში ძალიან მნიშვნელოვანია. მაშინაც კი, როდესაც მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოებაში და ხელისუფლებაში განსხვავებულ შეხედულებებს ვხვდებით, მიდგომა ეთიკური შემთხვევების მიმართ ხშირად ერთგვაროვანია. სწორედ ეთიკური პრინციპები და ღირებულებები ქმნიან იმ პირობით ჩარჩოს, რომლის თანახმადაც განისაზღვრება, რა ქმედება ითვლება მართებულად და იმავდროულად ეთიკურად **სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობების პირთა** მიერ მათი უფლებამოსილებების განხორციელებისას.

ეთიკა იმ მორალური პრინციპების ერთობლიობას წარმოადგენს, რომლებიც ქმნიან ადამიანთა ქცევის საფუძველს. სხვაგვარად, ის ფასეულობების, პრინციპების და სტანდარტების ერთობლიობაა, რომელიც თანამდებობის პირს მორალური მოქმედების მიმართულებას აძლევს.

ეთიკა, არის ერთ-ერთი **ძირითადი ღირებულება**, რომლის დაცვაც ძალზედ მნიშვნელოვანია მთელი რიგი პროფესიის ადამიანებისათვის. განსაკუთრებით კი პოლიტიკაში, საჯარო მმართველობით სფეროში, სასამართლო პროცესის დროს, ბიზნესში, მედიცინაში, განათლებაში, მეცნიერებაში, ხელოვნებასა და მედიაში.

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ მათი უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში **ეთიკური ქცევის** პრინციპების დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაღალი **პოლიტიკური კულტურის** და სწორი მმართველობითი ქცევის დასამკვიდრებლად. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის დაუფიქრებელი განცხადება, მაგალითად სიძულვილის ენის გამოყენება, საფრთხეს უქმნის საზოგადოების უსაფრთხოებას და სახელმწიფო ინტერესებს.

სიძულვილის ენა არის გამოხატვის ისეთი ფორმა, რომელიც ხელს უწყობს მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების დამკვიდრებას ამა თუ იმ ნიშნით განსხვავებული ჯგუფების მიმართ; იგი ხელს უწყობს სიძულვილს, დისკრიმინაციას, მტრულ დამოკიდებულებას მათ მიმართ. ამგვარ ჯგუფებში შედიან განსხვავებული ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური კუთვნილების, კულტურის, ორიენტაციის და შეხედულების მქონე ადამიანები. სიძულვილის ენაში მოიაზრება რასისტული, ქსენოფობიური, ნაციონალისტური და სხვა სახის გამოვლინებები.

სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობას არყევს ნეპოტიზმი. ნეპოტიზმი მიიჩნევა არა-ეთიკურ საქციელად, როგორც დამსაქმებლის, ასევე, დასაქმებულის მხრიდან. ნეპოტიზმის შედეგად ახლობლის დასაქმების გამამართლებელი მიზანი შეიძლება იყოს მისი მხრიდან ერთგულების მოლოდინი.

ყველა არაეთიკური ქმედება, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და კორუფციის შემთხვევა ამცირებს საზოგადოების ნდობის ხარისხს სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ. ასეთი ქმედებები არ არის თავსებადი **თანამედროვე სახელმწიფოსთან**. საპირისპიროდ,

დემოკრატიული მმართველობა სწორედ საზოგადოების მხრიდან თანამდებობის პირების მიმართ ნდობას ეფუძნება. ამიტომ მათ არ უნდა დაუშვან არამხოლოდ ისეთი ქმედებები, როგორცაა ქრთამის აღება, სახელმწიფო ქონების მითვისება, ნეპოტიზმი, ფავორიტიზმი და მსგავსი შემთხვევები, არამედ ასეთი ფაქტების შესახებ ეჭვის გაჩენაც კი, რამაც შესაძლოა შეარყიოს საზოგადოების სახელმწიფოსადმი ნდობა.

4.9. სახელმწიფო -პოლიტიკური თანამდებობის პირების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა

ანტიკორუფციული კანონმდებლობის დარღვევების ყველაზე რთული ფორმა **კორუფციული სამართალდარღვევაა**. ასეთ შემთხვევაში საკითხი ცდება ეთიკის კოდექსს, დისციპლინარულ გადაცდომასა და ადმინისტრაციულ სახდელს და საქმე გვაქვს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ დანაშაულებთან, რაზეც სახელმწიფოს მხრიდან საკმაოდ მკაცრი რეაგირების ფორმები არის გათვალისწინებული.

მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე თავით, 332-340 მუხლებით დასჯადია ე.წ. **სამოხელეო დანაშაულები**, როგორცაა მაგალითად სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, განმარტების, ჩვენების ან დასჯენის მიცემის იძულება, ქრთამის აღება, ზეგავლენით ვაჭრობა, კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება.

გასათვალისწინებელია, რომ **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი** სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ დანაშაულის ჩადენას, სხვა სახელმწიფო მოსამსახურეებისგან განსხვავებით, დამამძიმებელ გარემოებად თვლის. ამ ფაქტორს განაპირობებს სწორედ ის ნდობა, რომელიც **სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირმა** ამომრჩევლისგან პირდაპირ, ან არაპირდაპირ მიიღო. შესაბამისად, ამ ნდობის ბოროტად გამოყენება განსაკუთრებით მკაცრად ისჯება.

4.10. იურიდიული და პოლიტიკური პასუხისმგებლობა

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების განსაკუთრებულობა მათი უფლებამოსილების განხორციელების ორგვარ ბუნებაშიც იკვეთება. მათი საქმიანობის სფერო არის ერთი მხრივ სახელმწიფოს სამსახური, მეორე მხრივ პოლიტიკური საქმიანობა. შესაბამისად, ისინი თავიანთ უფლებამოსილებებს ახორციელებენ სწორედ იმ ნდობის საფუძველზე, რაც მათ ხალხმა გამოუცხადა.

საქმიანობის ორგვაროვანი ბუნებიდან გამომდინარე შეიძლება დადგეს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის იურიდიული და პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი. იურიდიული **პასუხისმგებლობა** შესაძლოა დადგეს, როცა თანამდებობის პირმა კონკრეტული აკრძალული ქმედება ჩაიდინა და მას ისე, როგორც სხვა მოქალაქეს, ეკისრება სისხლის სამართლებრივი ან სხვა სახის პასუხისმგებლობა. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ თანამდებობის პირმა ან პოლიტიკურმა გუნდმა ვერ შეასრულა მისი დანაპირები, დაუშვა შეცდომა ან განზრახ არასწორი პოლიტიკურ ნაბიჯები გადადგა, მას ეკისრება **პოლიტიკური პასუხისმგებლობა**.

პოლიტიკური პასუხისმგებლობის კარგი მაგალითია პარლამენტის მიერ მთავრობის მიმართ უნდობლობის გამოცხადება. განსხვავებით უნდობლობის გამოცხადებისგან, იურიდიული პასუხისმგებლობის მაგალითია იმპიჩმენტის გამოცხადება, რაც წარმოადგენს თანამდებობის პირის იურიდიულ პასუხისმგებლობას.

უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში პარლამენტი, მთავრობა კრიტიკულად უყურებს მთავრობის პოლიტიკას, რომელმაც ვერ გაამართლა, თუმცა, აღნიშნულ ქმედებაში არ იკვეთება დანაშაულის ნიშნები. ხოლო იმპიჩმენტი არის კონკრეტული სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის, მთავრობის წევრის მიერ სავარაუდო დანაშაულის ჩადენის შედეგად დაწყებული პროცედურა და იგი შეიძლება იურიდიული პასუხისმგებლობით დასრულდეს.

4.11. იმპიჩმენტი

იმპიჩმენტი არის საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურა, რომლის მიხედვითაც, საქართველოს კონსტიტუციის დარღვევისას ან/და სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის დგება განსაზღვრული თანამდებობის პირების **იურიდიული სამართლებრივი პასუხისმგებლობა**.

იმპიჩმენტის წესით შესაძლებელია თანამდებობის პირების თანამდებობიდან გადაყენება, რომელთა შორის არიან სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებიც:

- საქართველოს პრეზიდენტი;
- მთავრობის წევრი;
- უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, მათ შორის თავმჯდომარე;
- გენერალური პროკურორი;
- გენერალური აუდიტორი;
- ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ამ თანამდებობის პირების **იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების** საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს (50 დეპუტატს). პარლამენტის მიერ საკითხი დასკვნისათვის გადაეცემა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც მას განიხილავს და დასკვნას ამზადებს 1 თვის ვადაში. თუ საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა თანამდებობის პირის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა ან კონსტიტუციის დარღვევა, პარლამენტში 15 დღის ვადაში კენჭი ეყრება თანამდებობის პირის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხს.

საქართველოს პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი (სულ მცირე 100 დეპუტატი).

მთავრობის წევრი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა (სულ მცირე 76 დეპუტატი).

თუ **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ** თავისი დასკვნით არ დაადასტურა თანამდებობის პირის მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევა და არც მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა, ან პარლამენტმა 2 კვირის განმავლობაში არ მიიღო გადაწყვეტილება, ამ თანამდებობის პირის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურა წყდება. იგივე საკითხზე იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება დაუშვებელია.

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელებას საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს.

4.12. იმუნიტეტი და ინდემნიტეტი

პარლამენტის წევრს, როგორც პირდაპირ ხალხის მიერ არჩეულ პოლიტიკური თანამდებობის პირს, იცავს **სადეპუტატო იმუნიტეტი**, რაც იმას ნიშნავს, რომ პარლამენტის წევრის დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით, გარდა იმ შემთხვევისა თუ მას დანაშაულზე წაასწრეს. ასეთ შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს **პარლამენტს**. თუ პარლამენტი 48 საათის განმავლობაში არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული დეპუტატი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. სადეპუტატო იმუნიტეტი ვრცელდება თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში.

პარლამენტის წევრს გააჩნია **სადეპუტატო ინდემნიტეტი**, რომლის თანახმად, პარლამენტის წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც პარლამენტის წევრს. დაუშვებელია ამ საკითხთან დაკავშირებული წერილობითი მასალის დაყადაღება ან ამოღება. ეს უფლება პარლამენტის წევრს უნარჩუნდება მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.

გარდა ამისა, პარლამენტის წევრს **სამართლებრივი პასუხისმგებლობა** არ დაეკისრება თავისი მოვალეობის შესრულებისას პარლამენტში თუ მის გარეთ გამოთქმული შეხედულებებისათვის. კონსტიტუციით უზრუნველყოფილია პარლამენტის წევრის **უფლებამოსილებათა შეუფერხებელი განხორციელების პირობები**. პარლამენტის წევრი იღებს საკანონმდებლო აქტით დადგენილ გასამრჯელოს. პარლამენტის წევრის განცხადების საფუძველზე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ მის პირად უსაფრთხოებას. პარლამენტის წევრის უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის დაბრკოლებათა შექმნა დაუშვებელია და ისჯება კანონით.

5. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მხარდაჭერა საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ

ეფექტიანი და გამჭვირვალე მმართველობის, ეთიკური სტანდარტების დანერგვის, ანტიკორუფციული პოლიტიკის მხარდაჭერის მიზნით, **საჯარო სამსახურის ბიურო** ახდენს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მხარდაჭერას მმართველობის პროცესში.

ბიურო, აღნიშნულ პროცესში ისწრაფვის დაამკვიდროს და განავითაროს მაღალი მმართველობითი კულტურა საჯარო დაწესებულებებში, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილიც თვით სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთა მიერ თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებაა. შესაბამისად, ბიუროს აქვს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისათვის **მხარდამჭერი/საკონსულტაციო ფუნქცია**. აღნიშნული გულისხმობს კონსულტაციებს საჯარო სამსახურის მართვის საკითხების, დეკლარაციების შევსების, ინტერესთა კონფლიქტის პრობლემური საკითხების გადაჭრის და ამ საკითხების ერთგვაროვანი განმარტებისა და პრაქტიკის დამკვიდრების შესახებ.

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ქონებრივი დეკლარაციის შევსების მიზნით, საჯარო სამსახურის ბიუროსა და თანამდებობაზე დანიშნულ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს შორის წარმოიშობა ურთიერთობა, რომლის ფარგლებშიც საჯარო სამსახურის ბიურო თანამდებობის პირის დანიშვნის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ გასცემს:

- დეკლარირების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესასვლელ რეკვიზიტებს და
- პირს განუმარტავს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის დადგენილ ვადაში წარუდგენლობისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

კანონმდებლობა თანამდებობის პირს უდგენს ორთვიან ვადას დეკლარაციის შესავსებად. საჯარო სამსახურის ბიურო, მისი ცხელი ხაზის და ონლაინ დახმარების მეშვეობით, თანამდებობის პირებს სთავაზობს **კონსულტაციას დეკლარაციის შევსების პროცესში**. კონსულტაცია მოიცავს როგორც ქონებრივი დეკლარაციის ელექტრონული ფორმის შევსებაში ტექნიკურ დახმარებას, ასევე დეკლარაციაში შესატანი ინფორმაციის შინაარსობრივ საკითხებზე მეთოდოლოგიურ დახმარებას.

რა თქმა უნდა, თავად თანამდებობის პირის გადასაწყვეტია, მიმართავს თუ არა იგი საჯარო სამსახურის ბიუროს კონსულტაციისთვის. თუმცა, საჯარო სამსახურის ბიუროს კონსულტაციით სარგებლობა მიზანშეწონილია საკანონმდებლო ცვლილებების, პროგრამის დახვეწის გამო შეცვლილი ტექნიკური პარამეტრების ან თუნდაც შესაბამისი ქონებრივი საკითხების ასახვის



წესის დაზუსტების მიზნით. კონსულტაცია მნიშვნელოვანია **ინტერესთა შეუთავსებლობის** და **ინტერესთა კონფლიქტების პრევენციის** მიზნითაც. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ როგორც ქონებრივი დეკლარაციის არშევსება, ასევე მისი არასწორი ან არასრული შევსება იწვევს **იურიდიულ პასუხისმგებლობას**.

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი ამავედროულად საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელია, მას აქვს შესაძლებლობა საჯარო სამსახურის პრაქტიკის და კანონმდებლობის გაცნობის მიზნით და მეთოდური დახმარებისთვის საჯარო დაწესებულებების რეორგანიზაციის, ადამიანური რესურსების მართვის, საჯარო სამსახურში მაღალი ეთიკური სტანდარტებისა და ჯანსაღი ორგანიზაციული კულტურის დასაწერგად და სხვა საკითხებზეც მიმართოს ბიუროს.

საჯარო სამსახურის ბიუროში თავმოყრილია როგორც საქართველოში საჯარო სამსახურში მიმდინარე პროცესების, მათ შორის საჯარო სამსახურის მარეგულირებელი კანონმდებლობის აღსრულების **ანალიტიკა**, ასევე უცხო ქვეყნების და მსოფლიოში, საჯარო მმართველობის ფარგლებში არსებული ტენდენციებისა და გამოწვევების შესახებ კვლევები, რაც შესაძლებელია დამატებით დაეხმაროს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებს უფლებამოსილებათა ეფექტიან განხორციელებაში.